

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №24
2019 წლის 28 ოქტომბერი

ქ. ყვარელი

„ყვარლის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 24 დეკემბრის №65 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილი იქნეს ცვლილება „ყვარლის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 24 დეკემბრის №65 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 26/12/2018 წ., 190020020.35.164.016339) კერძოდ, შეიცვალოს დადგენილების დანართი და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

(დანართი დადგენილებას თან ერთვის)

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ყვარლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ქვეხიშვილი

დანართი

ყვარლის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი

თავი I

ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
		მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	
I. შემოსავლები	9167.9	6479.9	2688.0	10970.0	6512.7	4457.3	13899.9
გადასახადები	3220.0	3220.0	0	2850.0	2850.0	0	6896.3



გრანტები	5234.2	2546.2	2688.0	7519.3	3062.0	4457.3	6403,6	135.0	6268,6
სხვა შემოსავლები	713.8	713.8	0	600.7	600.7	0	600.0	600.0	0
II. ხარჯები	6521.5	6492.4	29.1	7617.2	7617.2	0	7899.8	7811.6	88,2
შრომის ანაზღაურება	1167.3	1167.3	0	1421.2	1421.2	0	1574.7	1574.7	0
საქონელი და მომსახურება	1308.3	1308.3	0	1376.8	1376.8	0	1328.9	1240.7	88,2
პროცენტი	0	0	0	75.7	75.7	0	46,0	46,0	0
სუბსიდიები	3510.4	3510.4	0	4065.8	4065.8	0	4259.4	4259.4	0
გრანტები	40.0	40.0	0	0	0	0	0	0	0
სოციალური უზრუნველყოფა	455.0	455.0	0	498.7	498.7	0	499,1	499,1	0
სხვა ხარჯები	42.6	13.6	29.1	179.0	179.0	0	191.7	191.7	
III. საოპერაციო საღდო	2646.4	-12.5	2658.9	3352.8	-1104.5	4457.3	6000.1	-180.3	6180,4
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	2569.6	-716.9	3286.5	5142.5	492.8	4649.7	9383.0	1135.7	8247,3
ზრდა	3857.9	571.4	3286.5	5695.4	1045.7	4649.7	9533.0	1285.7	8247,3
კლება	1288.3	1288.3		552.9	552.9		150.0	150.0	0
V. მთლიანი საღდო	76.8	704.4	-627.6	-1789.7	-1597.3	-192.4	-3383,1	-1316,0	-2067,1
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	74.7	702.3	-627.6	-1789.7	-1597.3	-192.4	-3411,1	-1344,0	-2067,1
ზრდა	702.3	702.3		0			0		
კლება	627.6		627.6	1789.7	1597.3	192.4	3411,1	1344,0	2067,1
							0		
VII. ვალდებულებების ცვლილება	0						-28,0	-28,0	0
ზრდა	0	0	0	0	0	0	0	0	0
საშინაო	0						0		
კლება	0	0	0	0	0	0	28,0	28,0	0
საშინაო	0						28,0	28,0	
	0						0		
VIII. ბალანსი	0	0.00	0.00	0	0	0	0	0	0



მუხლი 2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
		მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	
შემოსულობები	10455.8	7768.2	2688.0	11522.9	7065.6	4457.3	14 049,9
შემოსავლები	9167.5	6479.9	2688.0	10970.0	6512.7	4457.3	13899,9
არაფინანსური აქტივების კლება	1288.3	1288.3	0	552.9	552.9		150.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გარეშე)				0			0
ვალდებულებების ზრდა							
გადასახდელები	10381.5	7066.0	3315.5	13312.5	8662.8	4649.7	17460,9
ხარჯები	6521.5	6492.4	29.1	7632.2	7632.2	0	7899,8
არაფინანსური აქტივების ზრდა	3857.9	571.4	3286.5	5680.3	1030.6	4649.7	9533,0
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0			0			0
ვალდებულებების კლება				0	0	0	28,0
ნაშთის ცვლილება	74.3	702.2	-627.5	-1789.7	-1597.3	-192.4	-3411,1
							-1344,0
							-2067.1

თავი II

მუხლი 3. ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 13 899,9 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
		მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	



შემოსავლები	9167,5	7768,2	2688,0	10970,0	6512,7	4457,3	13899,9	7631,3	6268,6
გადასახადები	3220,0	3220,0	0	2850,0	2850,0	0	6896,3	6896,3	0
გრანტები	5234,2	2546,2	2688,0	7519,3	3062,0	4457,3	6403,6	135,0	6268,6
სხვა შემოსავლები	713,8	713,8		600,7	600,7		600,0	600,0	

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 6 896,3 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
		მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	
გადასახადები	3220,0	3220,0	0	2850,0		2850,0	6896,3
საშემოსავლო გადასახადი	460,0	460,0		350,0		350,0	0
დამატებითი ღირებულების გადასახადი	0			0		0	4096,3
ქონების გადასახადი	2760,0	2760,0	0	2500,0		2500,0	2800,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1408,0	1408,0		1200,0		1200,0	1540,0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0						0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	15,8	15,8		10,0		10,0	10,0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1030,7	1030,7		900,0		900,0	900,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	305,5	305,5		390,0		390,0	390,0
სხვა გადასახადები ქონებაზე	0			0		0	0
სხვა გადასახადები	0			0		0	0

მუხლი 5. ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 6 403,6 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
------------	-----------------	-----------------	-----------------



გრანტები	5234,2	7519,3	6 403,6
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები			
სხვა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი			
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	5234,2	7519,3	6 403,6
გათანაბრებითი ტრანსფერი	2411,2	2927,0	
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	135,0	135,0	135,0
კაპიტალური ტრანსფერი	2698,7	4457,3	
სპეციალური ტრანსფერი მათ შორის:			
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან			6 268,6
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები			
აზიური ფაროსანის წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ			
გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან			
კაპიტალური ტრანსფერი			
სპეციალური ტრანსფერი			

მუხლი 6. ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 600.0 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	713.4	600.7	600.0
შემოსავლები საკუთრებიდან	472.7	309.0	315,0
პროცენტები	89.6	70.0	95,0
რენტა მათ შორის:	383.2	239.0	220,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	368.9	229.0	220,0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	14.3	10.0	
მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვისათვის			
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	78.1	42.0	60,0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	63.2	32.0	45.0
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი			



სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი			
სანებართვო მოსაკრებელი	54.9	20.0	30.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	8.3	12.0	15.0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი			
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	14.9	10.0	15.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	157.6	249.7	225.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	5.0		

თავი III

ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი

ფუნქციონალური კლასიფიკაცია

მუხლი 7. ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 7 899,8 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
		მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
ხარჯები	6521.5	6492.4	29.1	7617.2	7617.2		7 899,8	7 811,6	88,2
შრომის ანაზღაურება	1167.3	1167.3	0	1421.2	1421.2	0	1574.7	1574.7	0
საქონელი და მომსახურება	1308.3	1308.3	0	1376.8	1376.8	0	1328,9	1240,7	88,2
პროცენტები	0	0	0	75.7	75.7	0	46,0	46,0	0
სუბსიდიები	3510.4	3510.4	0	4065.8	4065.8	0	4259,4	4259,4	0
გრანტები	40.0	40.0	0	0	0	0	0	0	0
სოციალური უზრუნველყოფა	455.0	455.0	0	498.7	498.7	0	499,1	499,1	0
სხვა ხარჯები	42.6	13.6	29.1	179.0	179.0	0	191,7	191,7	



მუხლი 8. ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 9 383.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 9 533,0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2017 წლის	2018 წლის	2019 წლის
		ფაქტი	გეგმა	გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	52.3	81,8	304.0
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება		1.5	1.4
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	3102,6	4525,9	6528.9
04 00	განათლება	638,2	579,6	1539,9
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	108,2	189,8	852,7
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0,0	0,0	306.1
სულ ჯამი		3901,4	5680,3	9 533,0

ბ) განისაზღვროს ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 150.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	1288.3	552.9	150.0
ძირითადი აქტივები	812.9	356.8	
არაწარმოებული აქტივები	475.4	196.1	150.0
მიწა	475.4	196.1	150.0

მუხლი 9. ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
--------------------	------------	--------------------	--------------------	--------------------



7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1767.0	2229.4	2544.7
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1718.3	2142.4	2180.2
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1718.3	2114.8	2103,5
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0	27.6	76.7
7.1.1.3	საგარეო ურთიერთობები			
7.1.2	საგარეო ეკონომიკური დახმარება			
7.1.3	საერთო დანიშნულების მომსახურება	0	0	0
7.1.3.3	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება		50.0	0,0
7.1.4	ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევები			
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0	25.0	74.0
7.1.7	საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეს შორის			
7.1.8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	48.7	12.0	290.5
7.2	თავდაცვა	64.1	92.3	95,0
7.2.1	შეიარაღებული ძალები	64.1	92.3	95.0
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა			
7.2.3	საგარეო სამხედრო დახმარება			
7.2.4	გამოყენებითი კვლევები თავდაცვის სფეროში			
7.2.5	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობათავდაცვის სფეროში			
7.3	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0	0	0
7.3 1	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა			
7.3 2	სახანძრო-სამაშველო სამსახური			
7.3 3	სასამართლოები და პროკურატურა			
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	2623.5	2905.6	5375.9
7.4 1	საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა			
7.4 2	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	0	0	0
7.4 2 1	სოფლის მეურნეობა			
7.4 3	სათბობი და ენერგეტიკა			
	სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა,			



7.4 4	მშენებლობა			
7.4 5	ტრანსპორტი	2623.5	2905.6	3915.9
7.4 5 1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2623.5	2905.6	3915.9
7.4 5 5	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	0		0
7.4 6	კავშირგაბმულობა			
7.4 7	ეკონომიკის სხვა დარგები			
7.4 8	გამოყენებითი კვლევები ეკონომიკური საქმიანობის სფეროში			
7.4 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში			1460.0
7.5	გარემოს დაცვა		11.2	1062,1
7.5 1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება			713,7
7.5 2	ჩამდინარე წყლების მართვა		11.2	291.7
7.5 3	გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა		0	56.8
7.6	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	2067.5	3289.7	1696.3
7.6 1	ბინათმშენებლობა	0	87.8	64,2
7.6 2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	0	0	0
7.6 3	წყალმომარაგება	254.9	290.6	451.4
7.6 4	გარე განათება	319.1	445.0	366.0
7.6 5	გამოყენებითი კვლევები საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში			
7.6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1493.5	2466.3	814.7
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	61.8	61.8	378.2
7.7 1	სამედიცინო პროდუქცია, მოწყობილობები და აპარატები			
7.7 2	ამბულატორიული მომსახურება			
7.7 3	საავადმყოფოების მომსახურება			
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	61.8	61.8	72.0
7.7 5	გამოყენებითი კვლევები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში			
7.7 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში			306.2
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	1429.0	1688.0	2520,6
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	476.6	605.1	1289,4
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	893.4	1023.9	1166,2



7.8 3	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	39.0	39.0	45.0
7.8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	20.0	20.0	20.0
7.9	განათლება	1775.5	2434.7	3165.0
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	1721.5	2380.7	2324.7
7.9 2	ზოგადი განათლება	54.0	54.0	840.3
7.9 2 1	დაწყებითი ზოგადი განათლება			
7.9 2 2	საბაზო ზოგადი განათლება	0	0	0
7.9 2 3	საშუალო ზოგადი განათლება			840.3
7.9 3	პროფესიული განათლება			
7.9 4	უმაღლესი განათლება			
7 10	სოციალური დაცვა	593.0	599.8	623.0
7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა			0
7 10 2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა			0
7 10 3	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა			
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	99.6	83.9	100.0
7 10 5	უმუშევართა სოციალური დაცვა			
7 10 6	საცხოვრებლით უზრუნველყოფა			
7 10 7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას			0
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	493.4	515.9	523.0
	სულ	10381.5	13312.5	17 460.9

თავი IV

ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა

და ვალდებულებების ცვლილება

მუხლი 10. ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -3 383.1 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -3 411.1 ათასი ლარის ოდენობით.



3. განისაზღვროს ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 3 411.1 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების კლება	627.6	1789.7	3 411.1
ვალუტა და დეპოზიტები	627.6	1789.7	3 411.1
სესხები			
აქციები და სხვა კაპიტალი			

3. განისაზღვროს ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალის საპროგნოზო მოცულობა 2019 წლის ბოლოსთვის 467,3 ათასი ლარის ოდენობით:

კრედიტორი	საპროგნოზო ნაშთი 31.12.2019
სულ მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალის ზღვრული მოცულობა	467,3
1 მუნიციპალური განვითარების ფონდი	467,3
2 ფინანსთა სამინისტროსგან აღებული მოკლევადიანი სესხი	

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. განისაზღვროს ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -28,0 ათასი ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 28,0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი
ვალდებულებების კლება	0,0	0,0	28,0
საშინაო	0,0	0,0	28,0
საგარეო	0,0	0,0	0,0
სესხები	0,0	0,0	0,0

მუხლი 13. ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გაუთვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების მიზნით შეიქმნას სარეზერვო ფონდი და განისაზღვროს 76,7 ათასი ლარის ოდენობით.



მუხლი 14. ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება;
- ინფრასტრუქტურა;
- განათლება;
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;

1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება

პრიორიტეტის მიზანია წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების გამართული და ეფექტური მუშაობა. პრიორიტეტი მოიცავს ისეთ პროგრამებს და ქვეპროგრამებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, როგორცაა მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს, აპარატის შენახვის ხარჯები, მათ შორის: თანამდებობრივი სარგო, ჯილდო, დანამატი და სხვა. ასევე, მოიცავს ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს, ვალების დაფარვის ხარჯებს. მმართველობითი სფეროს რეფორმა ერთერთი მთავარი ფაქტორია მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის. ასევე იგეგმება გარკვეული რეფორმები, რომელიც განხორციელდება რამდენიმე მიმართულებით: 1. ახალი სტრუქტურის, დებულებებისა და სამუშაოთა აღწერილობის შექმნა; 2. მმართველობითი გუნდის მუშაობის შეფასების შიდა და გარე სისტემების შექმნა; 3. მუნიციპალიტეტის ფუნქციონირებისას მოსახლეობის ჩართულობის სისტემების შექმნა; 4. საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესება; 5. ქონების მართვის სისტემის გაუმჯობესება; 6. მიმდინარე პროცესების მართვა და სხვა.

1.1 პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება

სასესხო ვალდებულებების დაფარვის პროგრამა.

მიზანი

მუნიციპალიტეტის მიერ აღებული სასესხო ვალდებულებების დადგენილ ვადებში დაფარვა.

აღწერა

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების შესაბამისად მიღებული სესხების მომსახურება.

1.2. პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება

საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესების პროგრამა.

მიზანი

მუნიციპალიტეტში საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესება და საერთაშორისო სტანდარტებთან თანხვედრაში მოყვანა.

აღწერა

დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფორმატი და ფინანსური ანგარიშები არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, რაც გამოწვეულია თანამშრომლების კვალიფიკაციის არასაკმარისი დონით, აქტივებზე სრულყოფილი ინფორმაციის არ არსებობით. მუნიციპალიტეტში არ არის აქტივების აღრიცხვის ერთიანი სისტემა. საბიუჯეტო პროცესში დაბალია მოსახლეობის ჩართულობის და პროცესების გამჭვირვალობის დონე. ყოველივე ზემოთ აღნიშნული პრობლემების



მოგვარებისათვის განხორციელდება თანამშრომლების გადამზადება, მოსახლეობაში გამოკითხვების ჩატარება და აქტივების შესახებ სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვა, ასევე საერთაშორისო სტანდარტებით საჯარო ფინანსების მართვის ეფექტურობის შეფასება, მოსახლეობის ჩართულობისა და გამჭვირვალე პროცესების წარმართვისათვის შეიქმნება და დაინერგება მდგრადი სისტემა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა, პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოფელ შილდასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, გავაზის ძველ სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოასფალტება, სანიაღვრე არხის მოწყობა, გავაზის ახალ სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოასფალტება, სანიაღვრე არხის მოწყობა, ბაღლოჯიანთან მისასვლელი გზის მეოთხე მონაკვეთის მოასფალტება, ბაღლოჯიანთან მისასვლელი გზის V მონაკვეთის მოასფალტება, ახალსოფლის V უბნის IV და V უბნების დამაკავშირებელი გზების მოასფალტება, სოფელ გავაზში გულოანთ უბნის მოასფალტება მიმდებარე სანიაღვრე არხების მოწყობით.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება,

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- რეაბილიტირებული გზების მაჩვენებელი.

ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წყლის სისტემის რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა, მუნიციპალიტეტის დასუფთავება, ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაცია, სანიაღვრე არხების მოწყობა-გასუფთავება;

ბ.ა) წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლის სათავე ნაგებობების, არსებული წყალმომარაგების ქსელის სარეაბილიტაციო ღონისძიებების ჩატარება. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ „ყვარელწყალმომსახურება“, რომელიც უზრუნველყოფს ყვარლის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შემავალი სოფლების სასმელი წყლის სისტემის მოწყობა-ექსპლოატაციას და სათავე ნაგებობების აღდგენის მომსახურებას;

ბ.ბ) გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 02)

მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის გარე განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების დაფარვა;

ბ.გ) ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 04)



პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დურუჯის, შოროხისა და ინწობის ხევების გაწმენდა, ჯებირების გამაგრება, რომელიც საშიშროებას წარმოადგენს ძლიერი წვიმის და თოვლის დნობის დროს;

გ) კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ „ყვარლის კეთილმოწყობის სამსახური“, რომელიც უზრუნველყოფს ყვარელში სკვერების, გაზონების და პარკების მოვლა-პატრონობას, ქ. ყვარელში ქუჩების დაგვას. მუნიციპალიტეტის სოფლებიდან და ქალაქიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას, გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობას, ქალაქ ყვარლის და მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული სასაფლაოების მოვლა პატრონობას. სოფელ ენისელში სასმელი წყლის რეზერვუარამდე მაგისტრალის მოწყობა და გამრიცხველიანება, სოფელ საბუეში სასმელი წყლის ქსელის გამრიცხველიანება, სოფელ შილდის სასმელი წყლის სათავე ნაგებობის, მაგისტრალის და ძველი ქსელის შეცვლა, გამრიცხველიანება, სოფელ გავაზში არსებულ სპორტული მოედნის ტერიტორიაზე საჭიდაო მოედნების მოწყობა;

2. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით და სათამაშოებით მომარაგება.

ა) სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

ყვარლის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი დაწესებულების დაფინანსება ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ყვარლის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 22 სკოლამდელი დაწესებულება, სადაც დასაქმებულია 345 ადამიანი და სწავლობს 1365-მდე აღსაზრდელი. სკოლამდელ დაწესებულებებში სამჯერადი კვებაა. მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქ. ყვარელში №3 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, ახალსოფელში №2 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, სოფელ გრემში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, ქალაქ ყვარელში №2 საბავშვო ბაგა ბაღის რემონტი.

ბ) ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ა(ა)იპ „წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიის“ დაფინანსება. გიმნაზიაში ფუნქციონირებს ასევე სკოლამდელი ასაკის 2 ჯგუფი, სადაც დადის 30 ბავშვი.

გათვალისწინებულია ასევე საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი შესაძლებლობების გამოვლენა.

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის შესაბამისი



პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

დაგეგმილია „უეფას“ სტანდარტების შესაბამისი მეორე კატეგორიის სტადიონის აშენება. სოფელ ახალსოფელში სპორტული დარბაზის მშენებლობა.

ა.ა) სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა, პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ „ყვარლის კომპლექსური სასპორტო სკოლა“, ა(ა)იპ „ყვარლის სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლა“, შპს „ათლეტი“. განხორციელდება ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, სკოლის პროფილის შესაბამისად მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში. განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სპორტული მოედნების მოვლა და მოწყობა. სპორტულ ორგანიზაციებში სულ დასაქმებულია 49 მწვრთნელი (ა(ა)იპ „ყვარლის კომპლექსური სასპორტო სკოლა“ – 40, შპს „ათლეტი“ – 1, ა(ა)იპ „ყვარლის სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლა“ – 8), რომელიც ემსახურება დაახლოებით 1000-მდე ბავშვის აღზრდას. სპორტული სკოლა ორიენტირებულია მაქსიმალურად ჩააბას მოსწავლე-ახალგაზრდობა აქტიურ სპორტში;

ა.ბ) სპორტული ღონისძიების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდება სპორტული ღონისძიებები სპორტის სხვადასხვა სახეობებში სკოლის შემდგომი ასაკის ახალგაზრდებისათვის. ჩატარდება სახელობითი ტურნირები, სადაც გამარჯვებულ სპორტსმენებს სპორტის სახეობების მიხედვით გადაეცემათ თასები, მედლები, დიპლომები და სხვა ფასიანი საჩუქრები, ფულადი პრიზები, რაც ხელს შეუწყობს სპორტული შეჯიბრებების მოტივაციას და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. ასევე წარმატებული სპორტსმენები მივლინებულნი იქნებიან სხვადასხვა რეგიონალურ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ტურნირებში;

ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა, პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ „ყვარლის კულტურის განვითარების ცენტრი“, ა(ა)იპ „ყვარლის სამუსიკო სკოლების გაერთიანება“, ა(ა)იპ „ყვარლის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებელი ობიექტების დაცვისა და განვითარების ცენტრი“;

კულტურის ცენტრში გაერთიანებულია 3 კულტურის სახლი, 3 ბიბლიოთეკა, 4 ცეკვის წრე, 2 სიმღერის, 2 ქარგვის, სადაც სწავლობს სულ 242 მოსწავლე. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდება კულტურული და შემოქმედებითი საქმიანობა, სადღესასწაულო და კულტურული ღონისძიებები. ხელი შეეწყობა საბიბლიოთეკო-სამკითხველო და საინფორმაციო საქმიანობას.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მოსწავლეთათვის დაწყებითი სამუსიკო განათლების მიცემა. გაერთიანება შედგება ყვარლის, გავაზის, შილდის, ჭიკაძის, ახალსოფლის სამუსიკო სკოლებისგან, სადაც სწავლობს 255 მოსწავლე. გაერთიანების ამოცანებია აზიაროს მოსწავლეები მუსიკალური ხელოვნების საფუძველს, გააცნოს და შეაყვაროს მოსწავლეებს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშები.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება უფლებამოსილება „ილიას ტბის“ ტერიტორიულ ფარგლებში, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული ტერიტორიების მოვლას. ტურიზმის განვითარებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობას. „ილიას ტბაზე“ მოწყობილია 4 სპორტული მოედანი, ამფითეატრი, საცურაო აუზი, სადაც ზაფხულის განმავლობაში ჩატარდება სხვადასხვა სპორტული და კულტურული ღონისძიებები.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:



გ) რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ნეკრესის ეპარქია კომუნალური ხარჯების დასაფარად.

დ) საგამომცემლო საქმიანობა (პროგრამული კოდი 05 05)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ყვარლის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი გაზეთის „ყვარელი“ გამოცემის ხარჯის თანადაფინანსება.

4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ყვარლის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია, მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი, ახალდაბადებული ოჯახების დახმარებას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში განხორციელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

ა) ჯანდაცვის პროგრამები (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ადამიანის უსაფრთხო გარემოს შექმნის ხელშეწყობა, ჯანმრთელობის ხელშეწყობის, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისა და დაავადებათა პროფილაქტიკისაკენ მიმართული პროგრამები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. განხორციელდება ეპიდზედამხედველობის და ეპიდსიტუაციის მართვის ღონისძიებები, ანტირაბიული ღონისძიებები, მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები, პროფილაქტიკური იმუნიზაციის პროცესის დაგეგმვა და განხორციელების ორგანიზაცია. არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა. განხორციელდება პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობენ გადამდებ დაავადებათა პრევენციას.

ასევე სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციის და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“-ს შენობის მშენებლობის სამუშაოები, სოფელ შილდის ამბულატორიის შენობის რეაბილიტაცია, სოფელ სანავარდოში ამბულატორიის ოთახების რეაბილიტაცია, სოფელ წიწკანანთსერში ამბულატორიის შენობის რეაბილიტაცია)

ბ) სოციალური პროგრამები (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება, ბავშვების სოციალური დაცვა, უმწეოთათვის უფასო სასადილოების დაფინანსება, ომის ვეტერანთა სარიტუალო ხარჯების დაფინანსება.

ბ.ა) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მატერიალური დახმარების გაწევა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები უმწეო და კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეებისათვის. მომართვის საფუძველზე მოხდება ოჯახების საყოფაცხოვრებო მდგომარეობის შესწავლა და მუნიციპალიტეტი გაუწევს როგორც ფულად დახმარებას, ასევე აანაზღაურებს სამედიცინო და მედიკამენტების ხარჯებს.

ბ.ბ) ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 02)

